საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საარსებო შემწეობის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები

თ ბ ი ლ ი ს ი 2020

ბროშურა მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ყველაზე მოწყვლადი პირების და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში“ - ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

Brot für die Welt

Bread for the World – Protestant Development Service

ავტორი: მარიკა დუმბაძე

საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

ვის აქვს საარსებო შემწეობის მიღების უფლება?

საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (მონაცემთა ბაზა) და მისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე ნაკლებია, რაც დღევანდელი მდგომარეობით შეადგენს 100 001 (ასი ათას ერთ) ქულას.[1]

ოჯახს საარსებო შემწეობის მიღების უფლება ეძლევა სარეიტინგო ქულის მინიჭების თვის მომდევნო თვიდან (თვეთა ათვლისას სარეიტინგო ქულის მინიჭების მომდევნო თვე ითვლება პირველ თვედ).

მაგალითად, თუ თქვენს ოჯახს სარეიტინგო ქულა მიენიჭა 10 მარტს, ასეთ შემთხვევაში სოციალური შემწეობა დაგენიშნებათ 1-ლი აპრილიდან.

[1] საქართველოს მთავრობის დადგენილება №758, 2014 წლის 31 დეკემბერი, მუხლი 2, საქართველოს მთავრობის დადგენილება №145, 2006 წლის 28 ივლისი, მუხლი 6 და 7 (2020 წლის 18 მარტის მდგომარეობით).

რომელი ორგანო ახორციელებს საარსებო შემწეობის ადმინისტრირებას?

საარსებო შემწეობის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“).

რა პროცედურების გავლაა საჭირო საარსებო შემწეობის დასანიშნად?

საარსებო შემწეობის დანიშვნის საფუძველია ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა და ოჯახის წერილობითი განცხადება საარსებო შემწეობის დანიშვნის შესახებ. საარსებო შემწეობის დასანიშნად მიმართვა შესაძლებელია სოციალური დახმარების დანიშვნის საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს, სარეიტინგო ქულის მინიჭება კი ხდება ოჯახის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

საარსებო შემწეობის დასანიშნად, საჭიროა, ოჯახის სრულწლოვანმა ქმედუნარიანმა წევრმა ან ოჯახის კანონიერმა წარმომადგენელმა განცხადებით მიმართოს სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადების შევსება შეიძლება როგორც სააგენტოში, ისე ოჯახის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე სააგენტოს უფლებამოსილი პირის ვიზიტისას იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ყველა წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების შესაძლებლობა.

განცხადების შევსებისას ოჯახის წარმომადგენელმა თან უნდა იქონიოს:

- საკუთარი და ოჯახის ყველა წევრის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (უცხო ქვეყნის

მოქალაქის შემთხვევაში – მუდმივი ბინადრობის მოწმობა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შემთხვევაში – დროებითი ბინადრობის მოწმობა);

- ოჯახში არასრულწლოვანი წევრის არსებობის შემთხვევაში – მისი დაბადების მოწმობა;
- თუ განცხადება შეაქვს პირს, რომელიც ოჯახის წევრი არ არის, მან ასევე თან უნდა იქონიოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული მეურვეობის ან მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი ან ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულება/მინდობილობა.

საარსებო შემწეობის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განცხადების შევსებიდან ორი კვირის ვადაში.

რა პროცედურები ხორციელდება სააგენტოში განაცხადის წარდგენის შემდგომ?

განაცხადის ფორმის შევსების შემდეგ, ოჯახში სააგენტოს უფლებამოსილი პირის (სოციალური აგენტი) ვიზიტის დროს, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ივსება „ოჯახის დეკლარაცია" ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დეკლარირებული ინფორმაცია დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში განთავსებისა და დადგენილი მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა, რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას, დაენიშნოს შესაბამისი დახმარება (ფულადი სოციალური დახმარება და სხვა).

გახსოვდეთ, რომ ოჯახის დეკლარაციაზე ხელის მოწერით, ეთანხმებით მის შინაარსს. შესაბამისად, მომავალში დეკლარაციაში არასწორ მონაცემებთან დაკავშირებით გარკვეული პრეტენზიის

დაფიქსირება რთულდება. აქედან გამომდინარე, დოკუმენტზე ხელმოწერამდე, მნიშვნელოვანია, რომ ტექსტს სრულად გაეცნოთ.

რა ოდენობით განისაზღვრება საარსებო შემწეობა?

მოქმედი მეთოდოლოგიით შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე გათვალისწინებულია საარსებო შემწეობა შემდეგი ოდენობებით:

- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001–ზე ნაკლებია – განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე – განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე – განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე – განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია – საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

სად უნდა მივიღოთ კუთვნილი საარსებო შემწეობა?

საარსებო შემწეობის დანიშვნის შემთხვევაში თანხის მისაღებად უნდა მიმართოთ სს „ლიბერთი ბანკს", სადაც ანგარიშის გახსნისა და პლასტიკური ბარათის დამზადების შემდეგ ყოველთვიურად ჩაგერიცხებათ კუთვნილი ფულადი დახმარება.

ფულადი დახმარების მისაღებად სს „ლიბერთი ბანკში" ანგარიშის გახსნა უფასოა. ანგარიში შეიძლება გაიხსნას ღატაკი ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან ქმედუნარიან წევრზე.

***გახსოვდეთ**, რომ დახმარება ჩაერიცხება სწორედ ოჯახის მიერ შერჩეულ პირს და არა - ოჯახის თითოეულ წევრს ინდივიდუალურად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საბანკო ანგარიში გაიხსნას იმ პირის სახელზე, რომელიც აღჭურვილი იქნება ოჯახის ყველა წევრის ნდობით და შეძლებს თანხის განკარგვას ოჯახის საერთო მიზნების გათვალისწინებით.*

რა უფლებები აქვს საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახს?

საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახს ან/და მის წევრს უფლება აქვს:

- მოითხოვოს საარსებო შემწეობის ადგილზე მიტანა, თუ ოჯახის ყველა სრულწლოვან ქმედუნარიან წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი;
- საარსებო შემწეობასთან ერთად მიიღოს სახელმწიფო პენსია/საპენსიო პაკეტი, სახელმწიფო კომპენსაცია, სოციალური პაკეტი და სხვა სოციალური დახმარება, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- გაეცნოს მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას და მოითხოვოს მონაცემებში ცვლილებების შეტანა;
- მოითხოვოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
- ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

რა ვალდებულებები გააჩნია საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახს?

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ვალდებულია:

- აცნობოს სააგენტოს ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მომხდარი დემოგრაფიული ცვლილებების შესახებ (წევრ(ებ)ის გარდაცვალება, გამოკლება, დამატება, საზღვარგარეთ 3 თვეზე მეტი ვადით წასვლა), ამ ცვლილებიდან ერთი თვის ვადაში;
- აცნობოს სააგენტოს იმ გარემოების შესახებ, რომელსაც თან სდევს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება ან ოჯახის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ამ ცვლილებიდან ერთი თვის ვადაში;
- შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობანი.

რა უფლებამოსილებები აქვს სოციალური მომსახურების სააგენტოს?

სააგენტო უფლებამოსილია:

- შეამოწმოს საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი (ოჯახის გაერთიანების ან გაყოფის, ოჯახის წევრთა სოციალური სტატუსის, დასაქმების, რაოდენობის და/ან ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სხვა არსებითი ცვლილებების გამოსავლენად);
- არსებული თუ გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, შეწყვეტის, შემწეობის ოდენობის გადაანგარიშების და/ან ზედმეტად ჩარიცხული საარსებო შემწეობის თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების შესახებ;
- შესაბამისი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისგან გამოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საარსებო შემწეობის ადმინისტრირებისთვის.

სააგენტო ასევე უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების შესრულებას.

როგორ ხდება საარსებო შემწეობის მიუღებელი თანხის ანაზღაურება პირის გარდაცვალების შემთხვევაში?

საარსებო შემწეობის თანხა, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისთვის არ ჰქონდა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს სააგენტოს პირის გარდაცვალების დღიდან არაუგვიანეს ერთი წლისა.

საარსებო შემწეობის გამცემი საბანკო დაწესებულების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას ექვემდებარება გარდაცვლილის პირად ანგარიშზე არსებული თანხა, რომელიც მემკვიდრემ არ გაიტანა პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლის ვადაში.

რა შეზღუდვები ახლავს საარსებო შემწეობის მიღებას?

საარსებო შემწეობის მიღება გამორიცხავს დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური შემწეობის მიღებას. ოჯახს უფლება აქვს, აირჩიოს დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური შემწეობის ან საარსებო შემწეობის მიღება.

ოჯახის მიერ დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური შემწეობის არჩევა არ იწვევს შემდგომში საარსებო შემწეობის მიღების უფლების ჩამორთმევას.

ოჯახს, რომელსაც მიენიჭა სარეიტინგო ქულა, უფლება აქვს, განცხადებით მიმართოს სააგენტოს საარსებო შემწეობის

დასანიშნად მას შემდეგ, რაც ოჯახს ან მის წევრ(ებ)ს შეუწყდება (გაუუქმდება) დევნილის, ასევე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური შემწეობა. ასეთ შემთხვევაში, ოჯახს საარსებო შემწეობა დაენიშნება სააგენტოსთვის განცხადებით მიმართვის მომდევნო თვიდან.

რა შემთხვევაში ჩერდება საარსებო შემწეობის გაცემა?

სააგენტოს უფლება აქვს, შეაჩეროს საარსებო შემწეობის გაცემა ნებისმიერ ეტაპზე, თუ ოჯახი, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, საჭიროებს დამატებით შესწავლა-შემოწმებას, მათ შორის:

- ოჯახის წევრის ანგარიშზე საარსებო შემწეობის სხვა სოციალურ გასაცემელთან (დევნილთა შემწეობა) ერთად ჩარიცხვისას;
- სახელმწიფო საზღვრის ზედიზედ სამ თვეზე მეტი ვადით კვეთისას;
- ოჯახის ხელოვნურად გაყოფა/გაერთიანებისას;
- თუ ოჯახი მუდმივად არ ცხოვრობს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე;
- შეიცვალა ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული წევრების შემადგენლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბავშვის დაბადებიდან (შვილად აყვანიდან) და ოჯახის ბოლო შეფასებიდან არ არის გასული 2 წელი ან ოჯახის წევრი გარდაიცვალა 2018 წლის 1-ლი ივნისის შემდეგ;
- ოჯახი უარს აცხადებს საარსებო შემწეობის დანიშვნაზე;
- სახეზეა შემოსავლების გაზრდა/გაჩენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, ხელზე აღებული ხელფასის (ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით) ოდენობასა (საშუალოდ, ბოლო ოთხ თვეში ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებული) და „ოჯახის დეკლარაციის“ შესაბამის გრაფაში – „ხელფასი“ (ყველა სხვა სახის ანაზღაურების ჩათვლით) დაფიქსირებულ (საშუალოდ,

ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებული) ოდენობას შორის სხვაობა ტოლია ან ნაკლებია 175 ლარზე;

- ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სხვა ცვლილებისას;
- გარდა იმ შემთხვევისა, როცა 100001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრ(ებ)ს, შემოსავლების სამსახურის მიერ 2019 წლის 1-ლი იანვრის და შემდგომ პერიოდში მოწოდებული მონაცემების მიხედვით, უფიქსირდებათ ხელფასი, რომლის ოდენობასა და „ოჯახის დეკლარაციის“ შესაბამის გრაფაში - „ხელფასი” დაფიქსირებულ ოდენობას შორის სხვაობა აღემატება 175 ლარს.

საარსებო შემწეობა შეიძლება შეჩერდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ინფორმაცია ან ახლად აღმოჩენილი გარემოება საარსებო შემწეობის მიღების საკითხზე, ასევე, როდესაც ოჯახი საჭიროებს დამატებით შესწავლას სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ან დემოგრაფიული ცვლილების გამო.

როგორ ხდება შეჩერებული საარსებო შემწეობის აღდგენა?

საარსებო შემწეობის შეჩერების შემთხვევაში, სააგენტო, შეჩერებიდან ერთი თვის განმავლობაში, უზრუნველყოფს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასებას. შეფასების შედეგების გათვალისწინებით, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას შეჩერებული საარსებო შემწეობის გაცემის გაგრძელების (აღდგენის) ან შეწყვეტის თაობაზე. საარსებო შემწეობის აღდგენის შემთხვევაში ოჯახი დახმარებას იღებს შეჩერების თვიდან.

რა შემთხვევაში წყდება საარსებო შემწეობა?

საარსებო შემწეობის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ოჯახის განცხადება;

- ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმება;
- თუ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა აღემატება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ „საარსებო შემწეობის ზღვრულ ქულას“;
- თუ ოჯახში, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია, რომელიმე წევრს შეუსრულდება 16 წელი.

საარსებო შემწეობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო, ზემოაღნიშნული გარემოების დადგენის მომდევნო თვიდან.

რა შემთხვევაში შეიძლება, ოჯახს შეუწყდეს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია?

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტა და/ან განმეორებითი რეგისტრაციის მოთხოვნის აკრძალვა გამოიყენება სააგენტოსთვის ყალბი ან არასწორი მონაცემების მიწოდების ან/და ოჯახის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

როგორ საჩივრდება სოციალური დახმარების შესახებ გადაწყვეტილება?

პირს უფლება აქვს, საკუთარი უფლებების და თავისუფლებების დასაცავად გამოიყენოს როგორც საჩივრის, ისე სარჩელის მექანიზმები.

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით თქვენი ოჯახის სარეიტინგო ქულას, უფლება გაქვთ, სააგენტოში წარადგინოთ საჩივარი. საჩივარში ზუსტად უნდა იყოს აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამოც შესაბამის ქულას არ ეთანხმებით. თუ საჩივარი არ დაკმაყოფილდება, სარჩელით უნდა მიმართოთ სასამართლოს. საჩივრის და სარჩელის წარდგენის ვადა შეადგენს 1 თვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით არ ხდება სახელმწიფო ბაჟის გადახდა.